



მეასტრი



საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი.

1 ივანისი

გამოცემა

№ 22

კვირბოთ

1886 წელსა.

ფასი „თეატრა“-ს წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სუთი (3) მანეთი, სხვაგანით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრა“-ს ღირს სუთი შუტრა. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრა“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

მართული თეატრი

კვირბას, 1 ივანისს

ქართ. დასის არტისტ. გამართული იქნება

უკანასკნელი წარმოდგენა

წარმოდგენენ

I

მონასტრის ზღუდეთ შორის

აწუ

და ტერეზია

ხუთ მოქმედ. დრამა ლუიჯი კომოლეტისა, თარგ. ბ.

ცაგარლისა.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 1/2 სხათზე

ახალი ამბავი

◆ 22 მაისს დანიშნული ქართული დრამატული საზოგადოების კრება ვერ შესდგა, რადგანაც საჭირო რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა და დღეისათვის გადაიდგა. დღევანდელი კრება უსტაეის ძალით კანონიერათ ჩაითვლება და შესდგება კიდევაც, რაც უნდა მცირე რიცხვი წევრებისა დაესწროს.

◆ დღეს ჩვენი ქართული დრამატული დასი უკანასკნელ წარმოდგენას მართავს. წარმოდგენენ ლ. კომოლეტის დრამას „მონასტრის ზღუდეთ შორის“

რისა (და ტერეზია), რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას ჩვენი საუკეთესო არტისტები. ამ დღეებში ზოგიერთი არტისტები გამგზავრებას აპირებენ სხვა-დასხვა ადგილებში წარმოდგენების გასამართავათ.

◆ ბატ. ი. ჯაჯანაშვილს შემდეგი პიესები გადმოუთარგმნია ქართულ ენაზე: მარკზარტა გოტიე — ხუთ მოქმედებიანი დრამა ა. დიუმასი (შვილის), მამით აბოლი — ხუთ მოქმედებიანი დრამა მ. კ. ურიელ აკოსტა — ხუთ მოქმედებიანი ტრაგედია გუცოვოსა და ერთი არგინალური პიესა დაუწერია — ცხოვრების მსხვერპლი.

◆ ზაზეთ „კავკასს“ ნამდვილათ შეუტყეცია, რომ სელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, თბილისის სემინარიიდან გამოარიცხული მოწაფე ლაგივევი, რომელმაც 24 მაისს მოკლა სემინარიის რექტორი მამა დევანოზი 3 ჩუდევკი სამხედრო სამართლით განისამართლება.

კურტუმ კახი


მართალია, მძრანველს ძრანვა თვით კი აუად მოუხდების, მაგრამ ფარვა სიავისა, ქვეყანას არ მოუხდების! წამხდენელთა და მხაძველთა კიდევ სხვაც რამ წაუხდების ძრანვავე სფოზს საძრანვათა, ძრანვას კაცი მოუფთხების.

ღაგიო გურამაშვილი



ე — შენ ვით შეგიყვარო, არ იქნები გამტანი: შრომას შენ არ იკადრებ, თუმცა დღეა კურტანი. შრომას თუ არ იკადრებ, რით გინდა სჭამო პური?! ნუ თუ პურიბას გიხამთ კურტუმ-კახი „ტურნურია“?!

მოდნები გაგონდებთ დღისით და ღამე ძილში.
 გასწედეს კვ თქვენი მოდნა და თქვენი ანგარიში!
 შკალეს აღარა დედობთ, ქირისა არა გაქვთ შიში,
 კენესით—არა გტკივათ რა, გაგიღით ვაგლას ვიში,
 ინავარდეთ „ბარიშნაკ“, შენ რად გინდა შვილები!
 ქეთოს არ მოგაკლებენ თქვენ ბალების გმირები.
 გარეგნათ სარ მოართული, თუმცა გიჭუჭყი გაქვს შიგნით,
 ნასწავლი რომ გიწოდონ, მით დასვალ ხელში წიგნით.
 არ გსურს: ვინ ხარ იფიქრო, თავს არ უზიარებ ცნობას
 ასირებული რამ ხარ, იხეებ „ბარიშნობას“!
 შენი კაი ქალობა—შენმა ქტეკამ მანიშნა,
 მამა ტიკებს ჭბურავდა, შენ ვით გახდი „ბარიშნა“!
 „სურტ—ბარიშნა“ ქალბესა—ვერ უწოდებთ ჭკვიანსა,
 რადგანაც რომ მით მივსტემთ ქართველ ქალბეს ზიანსა.
 ვერ გაბუდავ მოგანდო ჩემი გასაჭირია,
 რადგანაც რომ წინად ვგრძნობ, არ გეჭნება შირია!
 სოფელელ გოგოს ჭირი მე! იგი შრომის შვილად,
 ქალქელად, გვობიან—ფეხებ დასეთქილა!
 მოდნის უჩინალებიას მას არ მართებს ვალები,
 აი კაი საცოდო, იმას ვინაცვალბები!
 უქმი სვაკი ბძანდები, მუქთათ სისრდო გრგებია,
 სოფელელ გოგოს ნაღვაწი შესამთავრ შეტრგებია!
 ლატო, ნარდის თამაში არის შენი სელობა,
 ჩემ გოგოს ვინაცვალე იმას უყვარს დღეობა!
 ახა მაშინ შესედეთ ჩემ გოგონა ეკასა,
 როგორ მარდად დაუქლის „გოგონასედ“ ტეკვასა!
 მოტრცობს, თვალბესა ჭნაბამს, არ გიხვეწებს კიჭებსა,
 ჩემად გი თვალს ჩაგვლებს იქ საცოდო ბიჭებსა!
 ტოლებს ხელსა ჩაჭვიდებს და დაბამს ფერხულსა,
 «შავლეგოსა» შემოსძახებს, მამა შაზურს გლეხურსა!
 ფერხულს არ შეედრება „ვალსი“, არცა „კადრიელი“,
 ქართველს გულს უმოძრაებს, მათი ვარ მადრიელი!
 ჩემი გოგო ატარებს გზაში სისრდოს გუდითა,
 გაყრას ვერ გამიბუდავს მე შენსავით სუდითა.
 მითხარ რისთვის გიცოდო, თუ არ იზავ დედობას
 და თავს არ დახეებ კურტუმ-კესს და ებედობას!



უაი ჩვენი ბრადცა, გაძვირდა გაჯი, კირი,
 რადგანაც რომ არ კეცად შეგიგლეკისათ შირი:
 ქალბობ, არ გაწურებთ ქმრებისა გასაჭირი,
 ეძახით: გვატამეკით, დაგიღრწინათ შირი.
 არეკ დარეული ხართ; უცნო და შანაუჩი;
 ფეხებზედა გვიღიათ ქმარ-შვილის სამსახური.
 მანდილხსნისა შვილებს დაგისურიათ ქუდი,
 კომ-თასაკრავსა სწუნობთ, რა ნახეთ მათში ტუდი?!
 უსაფუქლო სწავლითა მთლად აგრეკით გზები,
 ბიჭებს დამგზავსებინართ, გაგიკრეჭით თმები.
 რომანების კითხვითა წავსვლითა შირის ფერი,
 ნუ დაიშლით განაკეთ—მოდნა ყველაფერი!
 ჯერ არ დაქვრებულხართ წინათ შავებში ჯდებით,
 თითქმის ამომწყვდარიყვით, ქმარ შვილათ, მამა და დებით.

თეატრის მუშა

საქმეაწვილო წიგნები.

I

- 1) მენის ამაზი. თხუზ, უივატოვსკისა, გადმოთარგმნილი გ. შარაშიძისაგან. მეორედ გამოცემული ჭიჭინაძეს მიერ 1885 წ. თბილისი.
- 2) შალვას თავ-გადასავალი—ცანელისა, გამოცემა ელ. ტატიშვილისა, თბილისი 1885 წ.

მითქმის არც ერთი ბუნებითი მოვლენა არ იძლევა ამოწმის მასალას ბავშვის ცნობის მოყვარეობისათვის და დიდებისთვის ცრუ-მორწმუნოებისათვის, როგორც ელვა, ქუხილი და მენი. რომელი ბავშვისთვის არ დაუცია თავზარი ამ მოვლენათა, რომელი არ გაუქტუნებია თვისი მრისხანე გრგინით შინისაკენ და ბოლოს რომელი ბავშვიდგან არ გამოუწვევია ამ საკვირველ მოვლენათა ცნობის-მოყვარეობა გაიგოს—თუ საიდგან და როგორ ჩნდება ჭექა, ქუხილი და ელვა, და აისწორეთ ამ წიგნაკის დანიშნულობაა გააგებინოს პატარა მკითხველს ამ მოვლენათა ნამდვილი მიზეზი და ააცდინოს იგინი ათასგვარ ცრუ-მორწმუნოებაზე აშენებულს ცნობას. ბატ. ჟივოტოვსკის სახელი უკვე ცნობილია რუსებისათვის—როგორც კარგი ერთი გაგებულად ამხსნელი ბუნებითი მოვლინებებისა და ჩვენი ქართველი პაწაწინა მკითხველებიც ბევრს რასმე სასიკეთილო ცნობებს ამოიკითხამენ ამ წიგნიდგან, თუმცა კი ბევრ ადგილას ენა თარგმანისა მეტად გატივლებულია. აი ნიმუშები ჩემი აზრის დასამტკიცებლად.—პირველივე გვერდზე წაიკითხავთ: „ეთქვით, მენი დაცა იმ ადგილს, სადაც სახლები, ფაცხები, ეკვ(?)ლესიები და სხვა შენობებიდგან ან—უთუოდ დაანგრეს და დას-

წევას ამათ. (მოდი და გაიგე რის თქმა უნდოდა!..) იქვე:... „აზობს და ამტკრევეს ხეებს წვერილამ ძირამდე (რა არის?) (იხილე 4 გვ.)... ასე მთელი სოფელი აინთება და დაითუთქება (სოფელი?) (7 გვ.) „ამას გარდა, კარგად გახეხილ ჩარხს რომ რომელიმე პატარა ცხოველი მივადოთ (ცხოველი „მივადოთ“ რაა?) ქალაქის ნაკუწები უნდა, და არა ნამცეცეცები. (8 გვ.) „როდესაც ყველა ეს გამოიკვლიეს და შეიტყვეს, იფიქრეს: ეგებ ელვა ჭექაც ამ ნაირი ძალასაგან ჩნდებოდესო, ესე იგი იმ ძალის მიზეზით, რომელიც მინის ხეხვის დროს მისაგან გამოდის,“ (აფერუმ ენას და კანსტრუქციას!:) (11 და 12)“ მკედარ რიხმანს შუბლზე და მკერდზედ აჩნდა დიდი მომწვარი (?), სხეულზე ბევრს ადგილას ლურჯად და წითლად დაპებულული(?) ჰქონდა; ცალი ფეხის წალაში ნატყვიარსავეთ ნახერეტი უნახეს. (ცალი ფეხის წალა, ნატყვიარსავეთ ნახერეტი, წითლად დაპებულული, დიდი მომწვარი!..) და სხვა ბევრს ადგილასაც შეხვდებით ენის ამისთანა ნიშნებს, რომლისათვისაც მადლობასთან ერთად არ შეიძლება რომ საყვედურიც არ უთხრათ ბ. მთარგმნელს.

(შემდეგი იქნება)

ს.—ძე

პატარა ნიკოს ნატპრა

სულის შემამგვებელია ცხელი იენისის დღე. ცა ლაქღვარდის ფერია და ისეთი წითელი, როგორც ცეცხლის ალი, მზე არ ათბობს და არც ანათებს— მხოლოდ შეუბრალებელად სწევას ყველაფერს თავის სხივებით. გახურებული ჰაერი მძიმეთ აწევს გულზედ ყველა სულ-დგმულს. ფრინველებმა შესწყვიტეს საამური ჟღივილი, ხეებმა ჩამოჰკიდეს ფოთლები, პაწაწინა ბალახი სდგას გარუჯული, არ ჩურჩულობენ ერთმანეთში მინდვრის მხიარული ყვავილები, იმათაც მოწყენით დაუხრიათ თავები, დაუძლოურებულან და ჩუმად, წყნარად იხრცებიან წყლის წყურვილისაგან. თავ ჩაქინდრულნი დახეტიალობენ განრიოკებულ მინდორზედ ძროხები, ცხენები და ცხვრები,— და გულ-საკლავი ხმა მოისმის იმათ ბლავილში და ზმუილში. საწყალ სოფლებში დანგრეულ ქოხნახებიდან ისმის ჩუმი გულის საკლავი ტირილი დედაკაცებისა და ბავშვებისა, დაღვრემილნი და ნაღვლიანი უყურებენ მამები, ქრამები და ძმები. არ ისმის მხიარული ჩვეულებრივი ხარხარი, არც ხუმრობა და არც ვაჟ-კაცური სიმღერა. ბავშვებიც შეწყუბებულნი უზომო სიციხ-

საგან, გახუმებულან და მიყრუებულან. გოგონებიც, შინელი უბედურებაა გლეხ-კაცისათვის, რომელიც ცხოვრობს მოსავლით. გოგონა საშინელი ძალაა, არის ჩუმი მტანჯავი. გლეხებს კარგათ ესმოდათ ეს და იმიტომაც შიშით, წუხილით და ლოდინით შესცქეროდნენ ცას. აგერ ექესი კვირეა რაც ერთი წვეთი წვიმისა არ ჩამოვარდნილა დედა-მიწაზედ, დაიწვა მთლად ბალახი; იწვებოდნენ გარეშემორტყმული ტყეებიც. ძლივს დალასლასებდა საქონელი, ხალხი კი შევიწროებული პაპა-ნაქებისაგან მობეზრებულნი ლოდინით, დახეტიალობდნენ როგორც ჩრდილი; რამდენჯერმე პატროსანმა მოხუცებულმა ღვედელმა, გადინდა პარაკლისი და სთხოვდა ღმერთს წვიმას; მხურვალედ და გულ მოდგენით ლოცულობდნენ გლეხებიც. ღმერთმა გაიგონა იმათი ლოცვა, რომელიც მათ ტანჯულ გულის სიღრმიდან ამოდინდა, ლაქღვარდ ფეროვან ცაზედ გამოჩნდა პატარა თეთრი ღრუბელი; შეწუხებულ გულს მოეცა იმედი სუსტი, ძლივს მბეჭუტე როგორც მკვარი ზამთრის ღამეში— იმედი გადაჩენისა შიმშილ სიკვდილისაგან; თუმცა ღრუბელი იკო ისე პატარა და ისე თეთრი, რომ ყოველ წამს შეიძლებოდა გამქრალიყო ცის უსამზღვრო სივრცეში, მაგრამ თეთრი ღრუბელი გადმოსცქეროდა სიყვარულის ნუფემით პატარა ღარიბ სოფლებს დანგრეულ ქოხებს და მასში იბადებოდა დიდი აზრი— დაეხსნათ ეს მოქანცული, დამწყული ხალხი, მწუხარებისაგან. «ტყუილ-უბრალოზედ რას ოცნებობ!» აღერსიანათ ეუბნებოდა ღრუბელს გახურებული ოქროს მზის სხივები. «ის არა სჯობს სცურავდე უდარდელად ცის ლაქღვარდ სივრცეში, თამაშობდე ჩვენთან, გრძობდე ჩვენს აღერს, ირხეოდე ნიავის ბერვით და მხიარულობდე» ეჩურჩულებოდა მსუბუქი ქარი, «ჩვენი რა საქმეა!».. მაგრამ თეთრმა ღრუბელმა ზიზლით მოარიდა თავი მხიარულ სხივსა და ცელქ ქარსა, ის მოიმკუხა, დაიბურა და დაიწყო უფრო ზრდა და შავება. ბოლოს სრულიად დაჰუარა ცელქი სხივები, და ისინი დაფარულნი მათ კიდევ უბურტყუნებდნენ. ღრუბელი გადაქცეული დიდ-უზარ-მაზარ შავბენე-ღრუბლად, ყურს არ უგდებდა მათ, იმან კიდევ ერთხელ სიყვარულით გადაავლო თვალი საწყალ სოფლებს, ქოხნახებს; მოისმა ჭექა-ქუხილი, გველივით დაიხლაქნა ელვა ცაში— და ღრუბლებმა ფრქვევა დაიწყო, უხვი განმაცოცხლებელი წვიმისა, დიდხან იწვიმა სასიამოვნოდ თავისუფლად ამოისუნთქა ხეებმა, ხელახლად ამწვანდა ბალახი, ყვავილებმა ამართეს თავები და სოფლელი ხალხი, აღტაცებით და მხურვალე ლოცვით მიეგება შიმშილ-სიკვდილი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საგან მათ განმათავისუფლებელ ღრუბელს. მამებმა და
 იწყეს ცქერა მამაკაცუად, დედებმა შესწავიტეს ტი-
 რილი, ბავშვები გამოცვიდნენ კარზედ, ფრინველებმა
 შეჭქნეს ჟღივილი და ღრუბელს, ამ სიკეთის მომქ-
 მედს, მადლობას უხდიდნენ. იმას არ ესმოდა დაცინ-
 ვა, ხელახლად გამოჩენილ მზის სხივებისა, ის სიამო-
 ნებით უცქეროდა განახლებულ ბუნებას, გაცოცხლე-
 ბულ ხეებს, ყვავილებს და დახსნილ ხალხს, ის-თან-
 და-თან პატარავდებოდა, თეთრდებოდა და გრძობდა,
 რომ ეს მობიბინე მწვანე ბალახი, ეს გაცოცხლებული
 ბუნება, ეს დახსნილი ხალხი მის საქმეა. ალერსიანი
 სიცილით ყურს უგდებდა მხიარულ ფრინველების
 ჟღივილს, ჩუმ ყვავილების ჩურჩულს, მხურვალე მხი-
 არულ ხალხის ლოცვას და ღრუბელი ჩაინთქა უძი-
 რო ცის კამარაში. «დედა,» — დაფიქრებულმა წას-
 ჩურჩულა თავის კეთილ დედას, ფერ მკრთალმა, გამ-
 ხდარმა ნიკომ, სოფლის მასწავლებელის ვაჟმა. —
 „დედა! ახ, ნეტავი მე ვყოფილიყავ ის თეთრი ღრუ-
 ბელი, რომელმაც გაცოცხლა ბუნება, მე მინდა იმ გვა-
 რი ღრუბლად გარდაქცევა!“ დედამ ნაღვლიანად
 ნამდვილ დედობრიულის შიშით მიიკრა შეილი გულ-
 ზედ, იმიტომ რომ ის განაცხიფრა და შეაშინა ცუც-
 ხლმა, რომელიც გაიღვია შავ თვალეში და დაუ-
 წითლდა ნიკოს ლოყები. «კმარა შეილო,» ჩუმად
 წარმოთქვა დედამ და გადასწერა ბავშვს პირფვარი.
 მაგრამ ბავშვის თვალეში უფრო და უფრო ელავდნენ.
 ნაღვლიანად და უკმაყოფილოდ გააქნია თავი კე-
 თილმა დედამ და გავიდა ოთახიდან. ყმაწვილი ისევ
 იდგა ფანჯარასთან, საშინლად ელვარებდნენ იმისი
 შავი თვალეში, ეკვერებოდნენ გამხდარი ლოყები....
 ის შესცქეროდა მომაკვდავ თეთრ ღრუბელს....

აღ. ც—რ—ქე

სახალხო ლექსები.

შეკრებილი ნებოძირში ს. ლონლახსაგან)

1

აფრინდა ქორი, აფრინდა;
 აჩაგვი ჩაინადირა;
 ცხეთას დაეცა დედალსა,
 აგჭალას მტკეპი აღინა.

2

ჭინჭკელს დმერთი გაუწყობა,
 ფრთები მხრებში გამოუგა;

ზეცას ასვლას მოინდომებს
 სული გ'საზედ ამოუგა.

3

ურემო, ფესო მღალა,
 სუნდი გიყრია გიშრისა.
 ხარები კარგი გიბია,
 მაგრამ ტალახა გიშლისა.

4

გიცი ყანასა თესვიდა,
 თვით ბრძენი და მეცნიერი;
 გვერდს ედვა თოვლის ნაკვეთი
 და გუბრიც მისი მაერი.
 ჭქონდა ჩაღისა გუთანი
 და ხარც მისი მიერი.
 ვინცა ამას გამოიცნოს
 ის არის გულის ხმერი.

5

იანგარი მოწუწუნებს,
 როგორც გასაფხულის გველი.
 თებურვალე ამას ამბობს:
 საჭმელს ნუ აუკარით ხელი.
 მარტმა თქვა: აჩხარს ვაპირებ,
 ყველამ მაშიმართეთ ხელი.
 თქვენ შამიფური დაამზადეთ,
 მე სამწვადე მომაქვს ბუკრი.
 აზრებმა შემოუთვალა:
 დმერთმა მოგიმართეთ ხელი,
 მაცადეთ, თუ ანგრე არის
 თოვლს კერ მოგიწყვიტოთ წელი;
 არტანის წყალს შეუთვალა,
 რუებს გადახვიოს ხელი
 სუკ-სუვი წყლითა ავამსო,
 ტკეპრსაც შეუმღერო ყელი.
 სამეურა ბალახით ავამსო,
 მთა და ბარი, ისე ველი.

6

სიკვდილის და ოგლის ბაბი.

სიკვდილმა ჩამოიარა,
 ობლი დახვდა წინაო.
 — სიკვდილო, მე წამიყვანე,
 ობლობა მომეწყინაო.
 — მე შენ როგორ წაგეყვანო,
 ვიღა დაგჩხება შინაო,
 არც გაქვს სამთელი, საკმელი.
 არცა სუღარი შინაო.

ერთი ბუბერი დედა გუგუს,
 ასიც არა გუგუს შინაო.
 იქ შინდა, წავიდე კახეთსა,
 კაცი შიშიძის წინაო.
 ცხრა შინი გამწავლებულან
 ნახვას იმათი შინდაო;
 შინდა ისინი გაუყარო,
 ცალცალკე მივცე ბინაო.
 იქიდგან რომ ჩამოვივლი
 მაშინ დამიხვდი შინაო.

7

ვაჟის წერილი ძალისადმი.

ქალო, შენი გონებითა,
 მე აქ ვიწვი ალებითა;
 ენა შენი დამატირებს,
 ცრემლს მაყრადე თვალებითა;
 ვა თუ ორნი დავისტყობთ,
 ერთმანეთის გონებითა;
 სიკვდილსა შენ სანაცნალოთა,
 ხემს თავს მივცემ და შენ არა,
 ვაი თუ ეს დამეძრათს:
 მე მიყვარდე და შენ არა!

8

ძალის წერილი ვაჟისადმი.

წიგნი არ მიმიწვიას,
 ვერ ამის მეტათ მზისთვინა.
 მოკითხვა არ შემათვლას,
 შირ-ლამაზის მთვარისთვინა.
 მოძულეებსა ამბეენ,
 ნეტა არ ვიცი რისთვინა.
 ნუ მამიძულეებ, გასსოვდე,
 მადლია შენი ღვთისთვინა.—



შეუღილილი სიყვარულისაგან*)

დრამა 5 მოქმედ. თხზ. დონ-მანუელ ტამაისი და ბაუსისა.

ხტენა V

ივინივე, დედოფალი (მანტიაში, კორონით და სკიპეტრით)

დედოფალი ბზა დედოფალსა! (მეფეზე წინად ავა დალიჯზე)

*) იხილე „თეატრი“ № 20.

მეფე. დედოფალო! (ხანგრძლივი ჩუქჩუქი, საზოგადო განკვირვებანი.)

მარკიზი. ღონა ხუნა!

დონ ალვარი. (თავისთვის) მოლოდინზე მეტია. (სიჩუმე)

დედოფალი. რამ შეგაშფოთათ აგრე და რამ განცვიფრათ. თქვენ არ მომელოდით განა? ფიქრათაც არ მოგივიდოდათ, რასაკვირველია. ჩემი ოთახის კარებში დარაჯა ჩაგიყენებიათ, მაგრამ ამბობენ, სიკვდილის გარდა ყველაფრის დათვუნვა შეიძლებაო. მეფემ კარები დამიკეტა, დედოფალმა გაალო. იგი დაკეტა ფლამანდიელმა მუხანათობამ, კასტილიის ერთგულობამ გაალო, და მეც გამოვედი.

დონ სუან მანუელი. (მეფეს ჩუმით) ენერგიული მოქმედება საჭირო.

მეფე. მიბძანდით, სენიორა, თქვენს ოთახში.

დედოფალი. რისთვის? მე ხომ ვიცი რა საჭირო საქმეზედაც გეკნებათ აქ ბაასი; ლაყბობთ იმაზედ— რომ მე გამდევნოთ აქედგან და სამუდამოთ ციხეში ჩამაწყვდიოთ. ლაყბობთ იმაზე რომ ჩემი კუთვნილი გვირგვინი მოგცენ შენ... მე გეთანხმებით—ეს ძალინ დიდი და საჭირო საქმეა... მეც ასე ფიქრობ.. მე მოვედი მარტო იმისთვის რომ გავანელო, როგორც ჩემი მოვალეობა მოითხოვს, ის მწუხარება, რომელიც ჰქვჯნის და აშფოთებს ჩემს მოსიყვარულე მეუღლის გულს, მე მსურს სამართლიანად დავაჯილდოეო ყველანი, ვისაც კი ასეთი პატიოსნური ლტოლვილება და სიბეჯითე გამოუჩენია საზოგადო კეთილდღეობისათვის; მე მსურს უთხრა უკანასკნელი „შვილობით“ ჩემი წინაპართა დალიჯს. და რადგანაც ვიცი რომ თქვენ არ მოგწონთ უბრალო შავი ტანსაცმელი, რომელსაც მე ყოველთვის ვატარებ ხოლმე, ამისთვისაც ჩავიცვი მე სამეფო მანტია, დავიხურე კარონა და როგორც ჰნდავთ სკიპეტრიც ხელიში მიჭირავს. (ჩამოდის დალიჯიდან და მივა დონ ხუნ მანუელთან, ამასა და სხვა გრანდებსაც მიმართავს პატიოსნური ირონიით) ზეცა იყვეს თქვენი მფარველი, დონ ხუნ მანუელო, ბატონო დე-ბელმონტ, დე-კამპოს და დე-სევიკო დე-ლატორრე, რომის ელჩო, დედა ჩემი იზაბელას მაქორდამო, პირველო კავალერო ისპანიის ოქროს რუნოსი და პრეზიდენტო ჩემი რჩევისა. ამ წამში თქვენი დიდება ძრეილია სხვა დონ ხუნ მანუელის დიდებაზე, იმ დონ ხუნ მანუელისა, რომელმაც თავი გამოიჩინა თავის განსწავლული კალამით და დაუცხრომელი ხელით დაამარცხა და დაამცირა ამაყი ოსმანი, სარდალი გრენადის სახელმწიფოსი. აი ეს, ბატონებო, ნაშთი ინფანტი დონ მანუელისა, წმინდა მეფე ფერდინანდის

შვილისა, შვილიშვილი სტამბოლის მეფეებისა, და რა გგონიათ? იგი დღეს გამხდარა ხელის შემწყობი ავსტრიის ერც-გერცოგი გულის თქმათა!

დონ ხუან მანუელი. დედოფალო!

დედოფალი. ოჰ, თქვენც აქ ხართ, კეთილშობილო მარკიზო დე-ვილიენა, ესკელონის გერცოგო! გაგონილი მაქვს, რომ თქვენი წინაპარი პორტუგალიის რაინდი დიეგო ლოპე და პაჩეკო დე-კასტროს მკვლელელებში რეულა, გაგებული მაქვს რომ თქვენმა კეთილშობილმა მამამ პრინცს დონ ალფონს მისცა საწამლავე ჩემი ბიძის დონ გენრიხის კანონიერი მეფის გულის მოსაგებად; გაგონილი მაქვს, რომ თქვენ მოჰკალით პირველი გრაფინია დე-სანტისტევანი, ბიძაშვილი დონ ალვარი დე-ლუნასი, და რადგანაც ჩემი მშობლების ბძანებით ჩამოგერთოთ: ტრუხილიო, ჩინჩილი, ალბასიეტი, სანკლე მენტე და ქალაქი ალკაზარი და მადრიდის ნაწილები; თქვენ გნებავდათ ესენი ისევ დაგებრუნებინათ და განიძახებთ ჩემი და ათი სხვა დედა-კაცის სიკვდილი. და თუ ეს მართალია, გეფიცები ჩემს სიცოცხლეს, ბატონო მარკიზ დე-ველიენავ, რომ კარგი მოდგმა გქონიათ.

მარკიზი. (თავისთვის) ღმერთო ჩემო!

დედოფალი. ბარაქალათ ბატონებო. ექვი არ არის დედოფლის დამცირება და სამშობლოს შეურაცხება გაგახარებდათ თქვენ: ერთი თქვენთაგანი მიწების განშრავლებას მოეღოს, სხვები ტიტულს; ზოგნი ეთაყვანებინან ოქროს რუნოს და კიდევ ბევრნი თქვენგანი მეგლიან კარგს შემოსავლიანი ადგილის ჩადებას თავისთვის თუ ნათესავეებისათვის. ასეთი თქვენი ქცევა ახალი კი არ არის—თქვენ დიდხანია მზათა ხართ მეფეების და ხალხის ცარცვა გლეჯისათვის, თქვენ დასაბამიდგან ავითვალწუნებიათ ტახტიც და ხალხიცა.

დაწბასიელი. დედოფალო!

მარკიზი. თქვენ ჩვენ შეურაცხობას გვაყენებთ.

დონ ხუან მანუელი. თქვენ შეურაცხობთ კასტილიის გრანდებს.

დედოფალი. სასაცილო იქნებოდა თქვენ რომ გეწყინოთ რამე! განა ჰკუთხე შეშლილს ეყურება რასაც ლაპარაკობს? თქვენ ხომ იცით, რომ მე შეშლილი ვარ! (ექიმებს) ეს არის ხომ თქვენი აზრი, პატროსანო და ნასწავლო ექიმნო, რომლებსაც სასიცოცხლო მეცნიერება დამღუპველ იარაღად გაგიხდიათ. მე დღეს არაფერი მეთქმის, (სარკაზმით) თქვენ იცით რომ მე შეშლილი ვარ და ჩემს სიტყვებს ყურადღებას არ მიაქცევთ.

მეფე. ხომ ჰხედამთ, ბატონებო, რომ მოთმინება აღარ შემიძლიან.

დედოფალი. (აწყვეტინებს) და მე ვინ ვიქნები თქვენი მწუხარების განსაქარებელათ? (გაიფიქროს და) ხმა დაბლა) შენი ბურგუნდიისა და ფლამანდიისათვის კასტილიის გვირგვინი დიდ ჯილდო იქნება! დიდი ჰკუთხა და ცდა გამართებს რომ შენგან ამ ჰკვიანურ დაწყობილ საქმეს ბოლოც მიაღვენო. შენ ხომ წაართვი სამეფო ტახტი შენი შვილის დედასა. ესლა ეს-ლა დაგრჩენია—წაართვა მემკვიდრეობა შენს კანონიერს შვილს და დაუსაკუთრო უკანონო შვილებს.

მეფე. დონა ხუანა!

დედოფალი. ხომ გაგიგონია და იცი რომ მე შეშლილი ვარ!

მეფე. ბატონებო, ჰხედამთ ხომ რა შეურაცხება! ესლა კი დროა...

დედოფალი. მეფიცები ღმერთს—მოვიდა დრო ჩემი გამეფებისა, სისულელე და დანაშაულობა იყო ჩემის მხრით—როდესაც სხვისადმი სიყვარულს ჩემი ხალხისადმი სიყვარულს ვანაცვალე. მე ვგრძნობ ამ დანაშაულობას და სხვისი თავხედობა აღარ მაკვირებს. მამა-კაცის სიყვარული—დედაკაცის სიყვარულია, მაგრამ დედოფალს ხალხიც უნდა უყვარდეს.

მეფე. (თავისთვის) იგი იმარჯვებს ჩემზე, მამცირობს! (გრანდები შემეფეხვევიან და იფარამენ მეფეს დონა ხუანასაგან.)

დედოფალი. ნუღარა ჰფიქრობთ დაარღვიოთ კანონები, რომელნიც იზაბელა—ფრანგის შემოღებულმა ხელმა დაგიწერათ თქვენ, როგორც დედაჩემის წინ გითთრდოდათ გული, ისევე აჰკანკალდებით მისი ქალიშვილის წინ. დაუბრუნეთ სახელმწიფოს ის სიმდიდრენი, რომელნიც წაგირთმევიათ თქვენ იმისთვის. დაუბრუნეთ სკიპეტოს დაკარგული მისი შვენიება! თქვენ არა ხართ კასტილია, კასტილია—ეს ხალხია, კასტილია—ეს მისი დედოფალია.

მეფე. ზადით აქედგან, სენიორა! მაძიულებთ ძალა ვინმარო.

დედოფალი. მის შეუძლიან მე ხელი მახლოს? ადამიანადი. ბატონო, თქვენს ჯიუტობას შესაძლოა საშინელი უბედურებანი მოჰყვეს.

დონ ალვარი. ნუ ინებებთ, რომ ისპანიისეც ხელით ისპანიის სისხლი დაიღვაროს.

მეფე. ჩემს საკუთარ სასახლეში არეულობა ბუდობს.

მარკიზი. გაუმარჯოს მეფეს!

დაწბასიელნი გაუმარჯოს მეფეს!

მეფე. ზაიგონეთ ხომ, სენიორა? კასტილიის ყველა გრანდს ჩემი მხარე უჭირავს.

ხალხის ხმა. (სცენის იქით) გაუმარჯოს დედოფალს! გაუმარჯოს დედოფალს!

დედოფალი. ბესმის შენ? ჩემი მხარე მთლად ისპანიის ხალხს უჭირავს.

მეფე. ოჰ, წყევლო!

ადმირალი. ისპანია გადარჩა!

მარლიანო. სიმართლემ გაიმარჯვა;

დონ ალვარი. დედოფალმა გაიმარჯვა!

დედოფალი. იქნება ხმა ცუდით შემომესმა. ახლო მინდა გავიგონო (მივა ბალკონთან)

სეპი. (სცენის იქით) გაუმარჯოს დედოფალს! გაუმარჯოს დედოფალს!

დედოფალი. (ბალკონიდან) მადლობელი ვარ, ჩემო ძმებო! ნურაფერისა ნუგეშინიანთ, მე ბურგოსიდგან ფეხს არ გავდგამ. თქვენს ერთგუულობას ვენდობი მე.

სეპი. (სცენის იქით) გაუმარჯოს დედოფალს! სიკვდილი ფლამანდიელებს!

დედოფალი. (მივა მეფესთან) რაღა ვქნათ, ფილიპე? ჩემი ხალხი ჩემსავით გადარეულია.

მეფე. სალდათნო, გარკეთ ესენი აქედგან.

კაპიტანი. თუ დედოფალი ბძანებს...

დედოფალი. როგორ? ესენი... მართალია ძველებური ანდაზა: „ერთი გასვრილი ღორი, ას ღორს გაატალახიანებსო.“ მთელი სახელმწიფო ჰკუპზე შეიშალა!.. ფრთხილად, ფილიპე. გიჟებთან ბაასი დაგამცირებთ თქვენ. მშვიდობით ფილიპე, მშვიდობით ბატონებო. სალამს გაძღვეს ჰკუპზე შეშლილი დედოფალი. (თავს უკრავს და თავისთვის ამბობს) ოჰ, საწყალო ჩემო გულო, რა რიგად დამარცხებული ხარ ჩემგან (მიდის.)

სცენა VI

იგინივე, დედოფლის გარდა.

მეფე. (თავისთვის) რომ დავიწყო ბრძოლა და გავიმარჯვო კიდევ, მაშინ ვიზე ვიყარო ჯავრი?

ადმირალი. მეფე! შეისმინე ხმა კეთილ-გონიერებისა და სიბრალულისა...

მეფე. ბაჩუდით აღმირალო. გეფიცები მამიჩემის სიცოცხლეს, რომ თქვენ ბევრს განანიებთ!

ადმირალი. კეთილი საქმისათვის სასჯელს ვირჩევ, ცუდი საქმისათვის ჯილდოსა. საათი მონანებისა შეფეებსაც დაუდგებათ ხოლმე. როდესაც თქვენ მოინანებთ სუყველა იმ შეცდომილებათა, რომელნიც

ხრწნიან და უმღვრევენ დიდებულთა გულმსახურს, როდესაც იგონობთ თქვენ სიმპულვარეს თქვენი ურცხვო საქმეებისადმი, მაშინ თქვენ დაფასებთ იმას, ვინც გეჯავრებათ და დაადგებით კეთილის გზასა. მე კი თავის დღეშიაც არ ვინანებ იმას, რომ მე, როგორც რაინდი გამოვესარჩლე მანდილოსანს, და როგორც ისპანელი—დედოფალს. (დაუკრავს თავს და მიდის.)

მეფე. წადით, ბატონებო! მე მარტო მინდა აქ დავრჩე.

დონ სუან მანუელი. (ღარბაისელთ) წავიდეთ. შეშლილმა კაი ამბავი დაგვაწია.

მარკიზი. ვეჭვობ—რომ იგი ისე არ არის ჰკუპზე შეშლილი, როგორც ჩვენა ვფიქრობდით.

მეფე. თქვენ აქ დარჩით, მარლიანო, თქვენც, დონ ალვარო! (ჩუმათ ვერეს რომელიც მიდის კარებისკენ—რაც სცენის სიღრმეშია) ამოიჩიე ორი ფლამანდელი საიმედო სალდათი და აქ მოიყვანე.

სცენა VII

მეფე დონ ალვარი და მარლიანო.

მეფე. ბანა სიკეთეს, ბატონო მარლიანო, აგრე უხდიან?

მარლიანო. სიკეთეს ცუდს საქმეს არ წაუძღვარებენ. საჭირო იყო ასე მოვქცეულიყავი თქვენი დიდებულობის სასარგებლოდ.

მეფე. (ირონიით) თქვენ ასე გგონიათ? ორი წელიწადი რომ ცინეში იფიქრებთ, თქვენ აზრებს შესცვლით.

მარლიანო. იქაც მე იგივეს ვიტყვი. (მიდის)

სცენა VIII.

მეფე, დონ ალვარი, მერე ვერე ორი სალდათით.

მეფე. ბუშინ თქვენ აქედგან დავითხოვეთ, დონ ალვარო, დღეს არამც თუ გაჰბედეთ აქ დაბრუნება, გაჰბედეთ კიდევ ჩემთან ბრძოლა.

დონ ალვარი. სამი დღე ვადა მამეცით აქედგან გასვლისათვის და თუ სასახლეში მოვედი—ამას ითხოვდა მოვალეობა პატიოსანი ვასალისა.

მეფე. ადვილი მისახვედრია—რომ თქვენ და თქვენი მეგობარი აღმირალი ბრძანდებით არეულობის ამშლელნი. თქვენი წყალობით მე ურცხვი დამცირება გადამხდა. გარწმუნებთ, კაპიტანო, რომ მაგიერს გადავიხდით.

დონ ალვარი. ასრულდეს ნება თქვენი ჩვენზე, მაგრამ საცოდავი თქვენი შეუღლე კი უნდა დაიფაროთ, იმან უკანასკნელებადის მიხვეულობა მოიკრიფა ძალნი, რომელთაც თავგანწირულებადის მიხვევინა, დაიწყო ბრძოლა, თქვენ საწინააღმდეგე კი არა, თქვენს დასახმარებლად, რა არის იმისთვის დალიჯი? მისი სურვილი — თქვენს ახლო ცხოვრება; იგი იცვამდა უფლებას მეუღლისას და არა დედოფლისას.

მეფე. როგორ?! ემას თქვენ მირჩევთ — რომ დონა ხუნა შევიყვარო? თქვენ ნუ გგონიათ — რომ მე არ ვიციოდე მიზეზები, რომლებიც განაჯივინებენ მაგისთანა დარიგებას და ჩემს წინააღმდეგ გაბრძოლებენ?

დონ ალვარი. სამშობლისა და დედოფლისადმი სიყვარულის მეტი მე სხვა მიზეზი არა მიმიძღვის რა წინ.

მეფე. მე ვიცი, რომ თქვენი თვალი იქითკენ იცქერის, საითაც ჩემი, ჩემსა და თქვენ სურვილთა შუა მოგინებრებით მეუღლის ეჭვიანების და მის განრისხების ჩაჩხირება.

დონ ალვარი. (თავისთვის) მცბიერო აღდარა!

მეფე. ამას რაღა დამტკიცება უნდა. თქვენ გუშინ შეატყობინეთ დედოფალს ეს საიდუმლოება და ურჩიეთ კიდევ ამ საშუალების ხმარება. თქვენ ჰხედეთ დედოფლის და სამშობლოსადმი ლაპარაკს? საზიზღარო ფარისევლო! შეურაცხე მეფედ მიჯნური და ამორი დანიშნულებისათვის მე დაგჯით თქვენ. სუყველას ჯავრს თქვენზე ვიყრი.

დონ ალვარი. თქვენ უმიზეზო შეურაცყოფას მაყენებთ.

მეფე. შემომხედეთ, დონ ალვარო. მე ცუდათა ვგრძობ თავსა, ძლიეს-ღა ვდგები, თქვენ ერთგული, სარწმუნო კაცი ხართ, ამაში მე დარწმუნებული ვარ და ჩემის გულის მშვიდობის დაბრუნებას ბედნიერებად ჩასთვლით, წამალი კი რომლითაც შეიძლება რომ დავშვიდდე — ეს მთლად თქვენი სისხლია...

დონ ალვარი. აღსრულდეს ნება თქვენი, მეფე.

მეფე. თქვენ უარყავით ჩემი მეფობა, ესლა მე მსურს რომ თქვენი მტარვალი ვიყვე. ეს ახალი ამბავი არ არის — რომ მეფემ თავის თვალწინ, თავის სასახლეში მოამბოლეს თავი წააგდებინოს, მეფე დონ

პედროს კასტილიელებმა მართალი და სასტიკი უწყობა დეს; დეე მე რაც უნდა დამიძახონ (დინახუნს შემოღეს) სულ ვერეს) მე მეგონა თქვენ თავისდღეში აღარ დაბრუნდებით მეტქი. (დონ ალვარს) დონ ალვარო, მიეცით თქვენი ხმალი.

დონ ალვარი. მეომარი დიდებული სარდლისა მრავალთან ბრძოლას დაჩვეულია, მაგრამ ხომ ჰხედათ, მეფე, რომ მე მოაბოხე არა ვარ. (აძღვეს სალდათებს ხმალს)

მეფე. (სალდათებს) წაიყვანეთ ჩუმათ სასახლის ერთს კოშკში. ყური უდგეთ თორემ პასუხის გებაში თქვენ ჩაცვივდებით. (დონ ალვარს) კაპიტანო, სიკვილილი მოგელოს.

დონ ალვარი. მე ბევრჯელ მინახამს სიკვილილი, იგი ჩემი კი ნაცნობია, როგორც ალერსიანი მეგობარი, ისე ესაც ყველა პატიოსან კაცს ალერსიანად ისტუმრებს. მეც ეს მიმიღებს და თქვენ კი არა.

მეფე. (თავისთვის) მე კი ვერ უნდა ვინუგეშო იმითი, რომ იგი აჯანკალებული დაეინახო! (ხმამაღლა) წადით. (დონ ალვარი გაჰყვება სალდათებს) უთხარით რომ ეს კაცი მოამზადონ სასიკვილოდ და დეე ესლავე მოკვდეს.

კერე. მს არის თქვენი განაჩენი, მეფე!

მეფე. მცადენით რომ ვეველა ეს ჩუმათ მოხდეს. გაიგეთ? რამდენათაც კარგათ შეასრულებთ ჩემს ბძანებას, იმდენად კარგ ჯილდოს მიიღებთ.

კერე. ავასრულებ თქვენ ბძანებას (მიღის)

(შემდეგი იქნება)

ა. ნ — თ — მესხი

წინა გამოცხანების ახსნა

1) კიტრი. 2) ქარი. 3) კრუხი.

რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.